

სამომხმარებლო და საავტორო უფლებების პოლიტიკა/ მასალის გამოყენების პირობები

lmitom.ge არის უნიკალური , ახალგაზრდული პორტალი- სივრცე , სადაც ახალგაზრდები შეუზღუდავად და თავისუფლად საუბრობენ თავის პრობლემებზე, საჭიროებებზე. რა სურთ, რა მიზნები აქვთ, რა სჭირდებათ იმისთვის რომ უკეთ იყვნენ. ეს სივრცე შეიქმნა ორგანიზაციის დახმარებით, რომელსაც სჯერა, რომ დასავლურ ღირებულებებს და მაღალ პროფესიულ სტანდარტს არ აქვს ალტერნატივა არცერთ საქმეში, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ სივრცეშიც პატივის ვცეთ ერთმანეთის ინტელექტუალურ საკუთრებას, საავტორო უფლებებს , პირად სივრცეს და ერთდროულად და თანაბრად ზედმიწევნით დავიცვათ გამოხატვის თავისუფლება და ნებისმიერი მომხმარებლის უფლებები. სწორედ ამიტომ 😊 გთხოვთ, ყურადღებით გაეცანით ჩვენს სამომხმარებლო და საავტორო უფლებების პოლიტიკას/ მასალის გამოყენების პირობებს, სადაც ჩამოყალიბებულია ჩვენი თანამშრომლობის ყველა ძირითადი პუნქტი.

- ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც იწყებს წინამდებარე ვებგვერდის გამოყენებას, ავტომატურად ეთანხმება ვებ-გვერდის მიერ დადგენილ სამომხმარებლო პოლიტიკას და მასალის გამოყენების პირობებს;
- მომხმარებელი ვებ გვერდზე რაიმე ტიპის რეგისტრაციის შემთხვევაში, თავად არის პასუხისმგებელი საკუთარი ანგარიშისა და მონაცემების უსაფრთხოებაზე;
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი რეგისტრაციისას გაგვიზიარებს საკუთარ მონაცემებს, ის ავტომატურად აცხადებს თანხმობას , მონაცემების გადამუშავებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
- „იმიტომ.ჯი“-ს ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას არ გამოაქვეყნოს ან /და დაბლოკოს სიმულვილის ენის ან/და ღირსებისა და პატივის შემლახველი ნებისმიერი ინფორმაცია ან/და კომენტარი, რომელიც შესაძლოა მოწოდებული იყოს მომხმარებლის ან/და ავტორის მიერ;
- სტატიებში, ბლოგებში ან/და სხვა მასალაში გამოთქმული აზრები და შეფასება წარმოადგენს ავტორის პირად მოსაზრებას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს ვებ გვერდის ადმინისტრაციის პოზიციას;
- დაუშვებელია საიტზე განთავსებული მასალის გამოყენება კომერციული მიზნით იმიტომ.ჯი-ს თანხმობის გარეშე;

- დასაშვებია კომერციული მიზნით განხორციელებულ აქტივობაში საიტზე გამოქვეყნებული მასალის ციტირება მცირე მოცულობით, წყაროს მითითებით;
- საიტზე გამოქვეყნებული მასალის გავრცელება /გაზიარება დაშვებულია მხოლოდ იმ ფორმით, რომ ნათლად იკითხებოდეს თავდაპირველი წყარო;